

ნანა ბულუა, რევაზ შეროზია

სამეტყველო კოდების შერევისათვის მეგრელთა ქართულ სალიტერატურო ენაზე მეტყველებისას

I. კითხვითი წინადადების ინტონაცია

თანამედროვე ქართულ ენაში კითხვითი წინადადების ორ ტიპს გამოვალენ: პირველი ტიპისაა წინადადება, რომელშიც კითხვითი სიტყვა არა გვაქვს; მეორე ტიპის წინადადებაში კითხვითი სიტყვაა გამოყენებული.

კითხვითი ინტონაციის მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა მათგანისათვის განმსაზღვრელია კითხვითი სიტყვის ქონა-არქონა და, ამდენად, ინტონაციის მხრივაც ძირითადად ორი ჯგუფი გვაქვს (ახვლედიანი, 1966, 139).

ცნობილია ძველი ქართულის ვითარებაც: პირველი ტიპის წინადადებაში ინტონაციას განსაზღვრავდა კითხვითობის -ა ნაწილაკი. მისი კანონზომიერი ეკვივალენტი ამჟამადაც აქვს მეგრულს (-ო), ხოლო ლაზურის „-ი“ ენა იყოს იგივე -ი, რასაც სვანური იყენებს კითხვითს წინადადებაში“ (ქობავა, 1942, 187).

მეგრულსა და თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას შორის განსაკუთრებით პირველი ტიპის წინადადებაში: მეგრულში ინტონაციის განმსაზღვრელია კითხვითი ნაწილაკი (-ო), ქართულში იგი აღარა გვაქვს:

მოსავალ გეჭოფიო? „მოსავალი აიღე?“

დაჩხირს ბუხარს ქვდარზანქო? „ცეცხლს ბუხარში დაანთებ?“...

მეგრელის ცნობიერებაში არსებული კითხვითობის (-ო) ელემენტი „აიღებ“ ქართულ სალიტერატურო ენაზე მეტყველ მეგრელს, ცვალოს ინტონაცია პირველი ტიპის წინადადებაში, რაც წინადადების ბოლო სიტყვის უანასკნელი ხმოვნის ან დაგრძელებითა და ტონის ამალღებით, ან ხმოვნის უანასკნელით გამოიხატება. ეს ხდება უფრო ხშირად ზმნურ ფორმაში. რაც უფრო ხშირად ხდება, აქ მახვილი ფუძისეულ ხმოვანზე მოდის და არა ხმოვან-ფუძისეულზე.

მეორე ტიპის (კითხვითსიტყვიან) წინადადებაში პირველის მსგავსი ინტონაციური ცვლილებები, ჩვენი აზრით, ანალოგიით შეიძლება აიხსნას, — ქართულ სალიტერატურო ენაზე მეტყველებისას მეგრელი ინტონაციის ერთ ტიპს ავრცელებს ყველა სახის კითხვით წინადადებაში.

II. სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა აღწერითი (რთული) ფორმების საკითხისათვის (იქნებოდეს იქნება)

მეგრულში გამოყოფენ რთული აგებულების ზმნურ ფორმებს და მკვირვთა წარმოებაში განიხილავენ „მყოფადუსრულის“ სახელწოდებით; იგი შედგება კავშირებითი I და იცილიყუაფუ „იქნება“ მეშველი ზმნისაგან (თოფურია, 1967, 112; ჭუმბურიძე, 1986, 135-139):

კორობუნდას იცილიყუაფუ „კრეფდეს იქნება“;

ხუნდას იცი|იყუაფუ „არღვევდეს იქნება“;

დგუდას იცი|იყუაფუ „იდგეს იქნება (იდგება, იდგომება)“;

ხედას იცი|იყუაფუ „იჯდეს იქნება (იჯდება, იჯდომება)“...

სტატუტური ზმნების კავშირებითის ფორმას ენაცვლება წარსული დროის მიმღობა: დგუდას იცი|ლოდგუმელ იცი; ხედას იცი|დოხუნელ იცი; კირუდას იცი|ლოკირილ იცი „ებას იქნება, დაბმული იქნება“; ჯანუდას იცი|ლონჯირელ იცი „იწვეს იქნება, დაწოლილი იქნება“...

დინამიკური ზმნის კავშირებითს ამგვარი მონაცვლე არა აქვს, ვნებითს შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში შინაარსობრივი სხვაობა საგრძნობია:

იზუაფუდას იცი|იყუაფუ „იზილებოდეს იქნება“;

ზელი იცი|იყუაფუ „მოზელილი იქნება“...

ქართულ სალიტერატურო ენაზე მეტყველებისას აღნიშნული კონსტრუქციები მეგრელს „აიძულებს“, შექმნას შინაარსობრივად აღდეკატური ფორმები; რაკილა ქართულის მსგავს კონსტრუქციებში კავშირებითი არ მონაწილეობს, მის კომპენსაციას მეშველი ზმნის ანალოგიური ფორმა წარმოადგენს:

ყებურს მიკობხედას იცი „შუაცეცხლს მიმჯდარი (იქნებოდეს) იქნება“ (ზუსტი შესატყვისი იქნებოდა „შუაცეცხლთან იჯდეს იქნება“, რაც გვხვდება კიდევ).

დამხმარე ზმნის ორმაგი გამოყენება უფრო მეტად იმ შემთხვევაში გვხვდება, როცა მეგრულში მიმღობასთან ერთად კონსტრუქციაში მონაწილეობენ აფუ(ლუ) „აქვს; არის“ და იცი „იქნება“ დამხმარე ზმნები:

ჰკირილ აფუდასგნ(ლუ)დასგნ იცი „დაჭრილი ექნებოდეს იქნება“;

გორილ აფუდასგნ(ლუ)დასგნ იცი „მოძებნილი ექნებოდეს იქნება“...

### დამოწმებული ლიტერატურა

1. ახვლედიანი, 1966 — გ.ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბ., 1966.
2. თოფურია, 1967 — ვ.თოფურია, შრომები, I, თბ., 1967.
3. ჩიჭობავა, 1942 — არნ.ჩიჭობავა, მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ.III, №2, 3; 1942.
4. ჭუმბურიძე, 1986 — ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

Nana Gulua, Revaz Sherozia

**On the One Aspect of the Mixing of Speech Codes**

Summary

When observing the representatives of various communities of Georgia speaking the literary language, some peculiarities are noticeable: Javakhians, Ingiloans, Tushians, Imeretians, Abkhazians, Lazes, Gurians, Acharians... use peculiarly various linguistic means, archaic among them.

The interrogative suffix, preserved in Megrelian (a correspondent of the Old Georgian suffix *-a*), subconsciously 'dictates' a Megrelian-speaking individual to change the intonation of a sentence while speaking the literary language.